BGA ROAR

NEWSLETTER BY British–Georgian Academy

ივნისის თვის მნიშვნელოვანი თარიღები

1-2 ივნისი: დებატების საერთაშორისო კონკურსის (WORLD SCHOLAR'S CUP) რეგიონალური ტური
4 ივნისი: ბატონი მარტინ კეონი დილის შეხვედრაზე მშობლებს საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამას გააცნობს
6 ივნისი: ბრიტანულ-ქართული აკადემიის სკოლამდელი განათლების ცენტრის მოსწავლეები წარმოგიდგენენ მიუზიკლს - THE SELFISH LADYBIRD
10-20 ივნისი: საცდელი გამოცდები სადიპლომო პროგრამის მე-11 კლასელთათვის
12-13 ივნისი: ბირმინგჰემში გამარჯვებული მიუზიკლი, HIGH SCHOOL MUSICAL JR ქართულ სცენაზე დაიდგმება
14 ივნისი: GL საერთაშორისო გამოცდები საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის (ინგლისური, ქართული, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
17-22 ივნისი: შემეცნებითი ექსკურსიები მეცხრე და მეათეკლასელთათვის
17 ივნისი: ოქროს მკითხველთა დაჯილდოება
21 ივნისი: სკოლამდელი განათლების ცენტრის გამოსაშვები საღამო
21 ივნისი: დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების გამოსაშვები საღამო
21 ივნისი: მე-12 კლასის მოსწავლეების გამოსაშვები საღამო
24-26 ივნისი: სადიპლომო პროგრამის გაცნობა მეათეკლასელთათვის

STEM ოლიმპიადა

გვინდა სიხარულით გაცნობოთ, რომ ბრიტანულ-ქართული აკადემიის მე-8-მე-11 კლასელებისაგან დაკომპლექტებული გუნდი STEM ოლიმპიადის ფინალშია, მოსწავლეებმა უკვე შეასრულებს პირველი ტურის დავალებები და ამჟამად ფინალისთვის ემზადებიან. ფინალში მონაწილე გუნდები 8 საათის განმავლობაში შეასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს. კონკურსში მთელი საქართველოს მასშტაბით 200-მდე სკოლა მონაწილეობდა, ფინალში კი 10 საუკეთესო გუნდი გადავიდა. გამარჯვებული გუნდიCERN-ის ლაბორატორიაში გაემზავრება. ვუსურვებთ დიდ წარმატებას ჩვენს მოსწავლეებს — ჩვენ გვჯერა მათი უსაზღვრო შესაძლებლობების.

ძვირფასო მშობლებო

მიილია მაისის თვე, რომელიც უამრავი ღონისძიებითა და სასიხარულო ამბით იყო დატვირთული. გვიხარია, რომ ჩვენი მოსწავლეები თქვენთვის მოსაყოლი ამბებით მუდმივად გვამარაგებენ.

მოდით, თვალი გადავავლოთ, როგორი იყო მაისის თვე.

ჩვენი სკოლის თეატრალური დასის წევრები იმყოფებოდნენ ბირმინგჰემში თეატრალურ ფესტივალზე, სადაც აკადემია საერთაშორისო ასპარეზზე ასახელეს. წარმატებები გვაქვს STEM მიმართულებითაც — ჩვენი გუნდი ოლიმპიადის ფინალშია. მე-12 კლასელებს ბოლო სასწავლო დღე ჰქონდათ და უკვე ერთი სული აქვთ, როდის დაიწყებენ სტუდენტურ ცხოვრებას. მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის მიძღვნილი ეთნოკვირეული. გარდა ამისა, გამოვავლინეთ ლიტერატურული კონკურსის, "ათინათის" გამარჯვებულები.

მაისში ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებმა სპორტული კუთხითაც გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები — Black Sea Games Football-ის ჩემპიონატში მივიღეთ მონაწილეობა და გავიმარჯვეთ. დასრულდა IGCSE-სა და სადიპლომო პროგრამის გამოცდები. ჩვენი მოსწავლეები იმყოფებოდნენ შემეცნებით ექსკურსიებზე — გასვლითი ღონისძიებების სერია ივნისშიც გაგრძელდება.

ბირმინგჰემის საერთაშორისო JUNIOR THEATRE FESTIVAL

სიამაყით გაცნობებთ, რომ ბრიტანულ-ქართული აკადემიის თეატრალურმა დასმა შესანიშნავად წარმოაჩინა თავი ბირმინგჰემის ახალგაზრდულ თეატრალურ ფესტივალზე. ჩვენმა წარმოდგენამ მთავარი პრიზი "Outstanding Production" დაიმსახურა.

პირველ რიგში გილოცავთ ამ შესანიშნავ წარმატებას! ეს გამარჯვება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენი მოსწავლეები არა მხოლოდ ლოკალურად, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც ბრწყინავენ. რა თქმა უნდა, ამ წარმატებას ვერ მივაღწევდით, რომ არა ბავშვებისა და შემოქმედებითი გუნდის თავდაუზოგავი შრომა და მონდომება. გვიხარია, რომ ეს ყველაფერი Junior Theater Festival-ის წარმომადგენლებსაც არ დარჩენიათ შეუმჩნეველი.

ფესტივალზე High School Musical Jr-ის 15-წუთიანი ვერსია იყო წარმოდგენილი, სრული მიუზიკლის ხილვას ქართველი მაყურებელი 12 და 13 ივნისს, თეატრ სახელოსნო 42-ის სცენაზე შეძლებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ეთნოკვირეული

26 მაისი 1918 წლიდან ქვეყნის თავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენს, ეს არის თარიღი, რომელიც გვაერთიანებს და სიამაყით გვავსებს. დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში 27-31 მაისს ეთნოკვირეული იმართება. კვირეულის მიზანს ქართული კულტურის მრავალფეროვნების წარმოჩენა წარმოადგენს. კვირეულის კულმინაცია ფოლკლორული ფესტივალი "ეთნოკვირეული - არტ გენი" იქნება, რომლის ფარგლებშიც თითოეული კლასი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთი კუთხის ტრადიციულ კულინარიას, ფოლკლორსა და ქორეოგრაფიულ ნომერს. ამ ღონისძიებისთვის უკვე თვეზე მეტია, ვემზადებით. ფესტივალის დღისთვის თითოეული კლასი მოამზადებს კონკრეტული კუთხის სუფრას ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი კერძებით. შემაჯამებელ ღონისძიებაზე კი ჟიური სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ კლასებს დაასახელებს.

ლიტერატურულ კონკურს „ათინათის" ფინალი

დასრულდა ლიტერატურული კონკურსი „ათინათი," რომლის მიზანიც შემოქმედებითი წერით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა იყო. კონკურსის გამარჯვებული გახდა მე-11 კლასის მოსწავლე ლუკა კახიძე, რომელმაც შთამბეჭდავი ნაშრომი შექმნა და უმაღლესი ქულა დაიმსახურა. გარდა ამისა, გამოვლინდნენ მე-2 და მესამე ადგილზე გასული მოსწავლეები; მე-11 კლასის მოსწავლე მელიტინა ჯიღაურიშვილი და მე-10 კლასის მოსწავლე თეკლა თუთბერიძე. დაჯილდოების ღონისძიებაზე მოწვეული იყო ტიციან ტაბიძის შვილიშვილი ნინო ანდრიაძე, რომელიც საუკეთესო ნაშრომებს გაეცნო და მოსწავლეებს „ცისფერყანწელებზე" ესაუბრა. ლიტერატურული კონკურსი „ათინათი" ბრიტანულ-ქართული აკადემიის შემოქმედებითი ცხოვრების ტრადიციული ნაწილია.

საგაზაფხულო ექსკურსიები

აკადემიაში ახლა საგაზაფხულო ექსკურსიების სეზონი მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სხვადასხვა მარშრუტზე მიემგზავრებიან. მე-7 კლასის მოსწავლეები უკვე იმყოფებოდნენ ბირთვისში, მე-6 კლასმა მოსწავლეებმა თბილისთან ახლოს მყოფი ტერიტორიები მოინახულეს. მე-11 კლასის მოსწავლეები კი სამი დღით ტაო-კლარჯეთს ესტუმრნენ, საიდანაც აღტაცებულები დაბრუნდნენ. მსგავსი ღონისძიებების მიზანია, მოსწავლეებმა ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულების პარალელურად, ისწავლონ ორგანიზებულობა, დროის მართვა, პასუხისმგებლობების გადანაწილება და გუნდურად მუშაობა.

სპორტული სიახლეები

17-18 მაისს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის ორგანიზებით Black Sea Games Football 2024 გაიმართა, რომელშიც საქართველოს, უზბეკეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის სკოლები მონაწილეობდნენ. ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ ორ კატეგორიაში მოიპოვა გამარჯვება.

ხელბურთიც არ დაგვრჩენია უყურადღებოდ — საქართველოს ხელბურთის ორგანიზაციისა და მერიის ორგანიზებულ სასკოლო ტურნირში ჩვენი ვაჟთა ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.

21 მაისს შედგა ბაქსვუდის ტურნირი, რომელშიც ჩვენი სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისგან დაკომპლექტებულმა გუნდმა იასპარეზა. 30 მაისს კი მე-5 და მე-6 კლასელების მონაწილეობით საფეხბურთო ამხანაგური მატჩი გაიმართა.

მე-12 კლასელთა ბოლო სასწავლო დღე

მე-12 კლასელები ბრიტანულ-ქართულ აკადემიას დაემშვიდობნენ. მართალია, წინ გამოსაშვები ღონისძიებაა, მაგრამ მათთვის სასწავლო პროცესი უკვე დასრულებულია. დარწმუნებულები ვართ, რომ წინ დიდი ამბები ელით. აკადემიის სახელით, ვულოცავთ ჩვენს საამაყო კურსდამთავრებულებს ცხოვრების ამ ეტაპის წარმატებით დასრულებას და ვუსურვებთ ბედნიერ და წარმატებულ სტუდენტობას.

ჯაუს ქულები

PIROSMANI
1960

TAMAR MEPE
1814

ILIA
1762

RUSTAVELI
1276